

**ON THE USAGE OF CERTAIN TYPE OF ADVERBIAL PHRASES
IN HYPOTACTIC SENTENCES
(IT'S A LONG TIME / IT'S AGES / FOR A LONG TIME / ONCE / AT ONE TIME)**

ერთი სახის ზმნიზედათა გამოყენების საკითხი ჰიპოტაქსურ წინადადებებში
(რახანია/დიდი ხანია/რამდენი ხანია/ერთხანს/ეს ერთი ხანია)

Tea Burchuladze

PHD in Philology,

Senior Scientist of TSU Arnold Chikobava Linguistics Institute,

Tbilisi, 8 Ingorokva, 0108, Georgia,

+995593228805, burchuladzetea@gmail.com

<https://orcid.org/0000-0002-2614-012X>

Abstract. The structure of sentences with constituent adverbial phrases presents special interest. These phrases are: it's a long time / it's ages / for a long time / once / at one time. The issue concerns the complex sentences, in which the main clause is expressed by the given adverbial phrases, and is joined with the subordinate clause without a conjunction or with a relative pronoun **which**. We assume that structurally such sentences are complex, namely, main clauses are followed by complex subordinate clauses. In such cases, time adverbial phrases (it's a long time / it's ages / for a long time / once / at one time) are presented as main clauses that are followed by subordinate clauses. As a rule, these subordinates are joined with main clauses by a relative pronoun **which**.

Keywords: Syntax, Oral speech, Adverb.

თეა ბურჭულაძე

ფილოლოგიის დოქტორი,

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

არნოლდ ჩიკობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის

უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი,

ქ. თბილისი, პ. ინგოროყვას N8, 0108, საქართველო,

+995593228805, burchuladzetea@gmail.com

<https://orcid.org/0000-0002-2614-012X>

აბსტრაქტი. სპეციფიკურია ისეთი წინადადებების აგებულების საკითხი, რომელთაც შემადგენელ კომპონენტად აქვთ ერთი სახის ზმნიზედები: რახანია/დიდი ხანია/რამდენი ხანია/ერთხანს/ერთი ხანია. საქმე ეხება ისეთ რთულ წინადადებებს, რომლებშიც მხოლოდ დასახელებული ზმნისართებით გადმოიცემა მთავარი წინადადება, რომელსაც უკავშიროდ ან რაც კავშირით მოჰყვება დამოკიდებული წინადადება. სტრუქტურის მიხედვით, ვფიქრობთ, დასახელებული კონსტრუქციის წინადადებები რთული ქვეწყობილი წინადადებებია, კერძოდ, მთავარის მიმართ დამოკიდებული. აქ დროის ზმნისართები (რახანია/დიდი ხანია/რამდენი ხანია/ერთხანს/ერთი ხანია) წარმოდგებიან

მთავარ წინადადებად, რომელთაც მოჰყვება დამოკიდებული წინადადება. როგორც წესი, მთავრის მიმართ დამოკიდებულ წინადადებებში დამოკიდებულთან აერთებს მიმართებითი ნაცვალსახელი რაც.

საკვანძო სიტყვები: სინტაქსი, ზეპირმეტყველება, ზმნიზედა

შესავალი. ქვეწყობილი წინადადება სტრუქტურულად რთული აგებულებისაა და არაერთ თავისებურებას ავლენს. საენათმეცნიერო ლიტერატურაში გამოყოფენ სხვადასხვა სახის ჰიპოტაქსურ წინადადებებს (ქვემდებარულს, დამატებითს, განსაზღვრებითს, გარემოებითს, მთავრის მიმართ დამოკიდებულს), რომელთაც თავიანთი სინტაქსური ნიშნები ახასიათებთ. აღსანიშნავია, რომ გარდა წინადადების წევრთა მიხედვით სინტაქსურად შეკავშირებული წინადადებებისა, გამოიყოფა შინაარსის მიხედვით დამოკიდებული წინადადებებიც (პირობითი, შედეგობითი, დათმობითი).

მეთოდები. წარმოდგენილი სტატია ეფუძნება კვლევის შემდეგ მეთოდებს: აღწერითი მეთოდი, ლინგვისტური მასალის კრიტიკული ანალიზი, სტრუქტურული კვლევა, დედუქცია, ინდუქცია.

შედეგები. წინამდებარე ნაშრომში გაანალიზებულია ზოგი ზმნისართის გამოყენების თავისებურებანი ზეპირმეტყველებაში. ნაჩვენებია მისი სინტაქსური ფუნქცია და სპეციფიკა – გამოხატოს მთავარი წინადადება.

მსჯელობა. ენაში მრავალფეროვანია ჰიპოტაქსის შემადგენელი ნაწილები, მისი აგების გზები. სინტაქსურად საინტერესო სტრუქტურას ქმნის ისეთი სახის წინადადება, რომელშიც მყარი გამოთქმები გამოიყენება. უპირველესად აღსანიშნავია, რომ სასუბრო ქართულისთვის დამახასიათებელია ე. წ. მყარი გამოთქმების უხვად მომხარება, მაგალითად, **ეს-ესაა** (არის), **ის-ისაა** (არის)... ამგვარი შეხამებანი სამეცნიერო ლიტერატურაში მიჩნეულია სემანტიკურად დაუშლელ ერთეულებად და მას ფრაზეოლოგიურ ერთეულებს მიაკუთვნებენ (კვანტალიანი, 1997: 22). გამოთქმულია თვალსაზრისი, რომ ასეთი ერთეულების შემცველ წინადადებებში ჰიპოტაქსური კონსტრუქციის ოდინდელი მთავარი კომპონენტები (**ეს არის**, **ის იყო**...) გადაიქცნენ შეკავშირების ფორმალურ საშუალებებად და მათ დროული თანამიმდევრობის მაჩვენებელი ორი წინადადება შეუკავშირეს ერთმანეთს: „დამდებოდა. **ის-ის** იყო, რომ ზღვის იქიდან დაღლილ-დაქანცული ორი მტრედი მოფრინდა“. ხოლო **ვიღაცაა** (ვიღაც არის), **რადაცაა** (რადაც არის), **სადაცაა** (სადაც არის) შემცველი წინადადებები ჰგავს უკავშირო ქვეწყობილ კონსტრუქციას, რომელშიც დამოკიდებულ წინადადებად ეს შესიტყვება ჩანს (კვანტალიანი, 1997: 23).

სპეციალურ ლიტერატურაში ყურადღება გამახვილებულია ისეთი აგებულების წინადადებებზეც, რომლებიც შეიცავენ მაქვემდებარებელ კავშირს, ე. ი. გარეგნულად თითქოს დამოკიდებულია, მაგრამ მთავარი წინადადება არ ახლავს და არც გამოტოვებულად ივარაუდება. ასეთ წინადადებებში წარმოდგენილია **სწორედ რომ**, **მართლაც რომ** გამოთქმები, რომელთა საშუალებით სათქმელი უფრო კატეგორიული ხდება, ამლიერებს მას (კვაჭაძე, 2010: 441): „სიტუაცია **მართლაც რომ** განსაკუთრებული იყო“; „სიჩუმეში ეს ხმა **მართლაც რომ** მეხის გავარდნას ჰგავდა“; „**სწორედ რომ** სხვაგან არსად არის ესეთი მარჯვე ადგილი“; „მთელი შეხედულებები **სწორედ რომ** მარქსიზმის

გადამღერებაა“. მითითებულია, რომ როცა **მართლაც რომ და სწორედ რომ** გამოთქმები იწყებენ წინადადებას, ისინი ზოგჯერ მთავარ წინადადებად არიან გაგებული და მომდევნო სიტყვებისაგან მძიმით გამოყოფენ ხოლმე (კვაჭაძე, 2010: 441): „ეს საკითხები, **სწორედ რომ**, არაეფექტური საშინაო პოლიტიკის ბრალია“; „**სწორედ რომ**, ბუნებრივი რიტმით ცოცხლობს და ამიტომაცაა დამაჯერებელი“; „ცოლმა, **მართლაც რომ**, გამოუვალ მდგომარეობაში ჩააყენა“; „ეს, **მართლაც რომ**, უნივერსალური ფენომენია“.

მართალია კავშირის შემცველი წინადადებებიც ასეთია. ცნობილია, რომ ის იგივეა მნიშვნელობით, რაც **თუმცა** (ქეგლი). აქაც ჰიპოთაქსურ აგებულებაზე ვერ ვიმსჯელებთ. ლ. კვაჭაძე აღნიშნავს, რომ დათმობითი დამოკიდებული წინადადების შინაარსისაა ისეთი სახის წინადადებები, რომელთა პირველი ნაწილი შეიცავს ჩართულ სიტყვას **მართალია**. ის კიდევ უფრო ახლოს დგას მაპირისპირებელკავშირიან რთულ თანწყობილ წინადადებასთან (კვაჭაძე, 2010: 435-436).

ამ თვალსაზრისით სამეცნიერო ლიტერატურაში ყურადღება გამახვილებულია **ლამის** ნაზმნარ მოდალურ ელემენტზე, რომელსაც აქვთ უნარი, შექმნას ზმნისთვის დამახასიათებელი კონსტრუქცია (თუმცა ზმნური სემანტიკისგან დაცლილია): „**ლამის**, რომ არ შეეწიოს“... ამგვარ წყობაში **ლამის** მთავარი წინადადების დანიშნულებითაა გამოყენებული სინტაქსურად, თუმცა მორფოლოგიურად და სემანტიკურად ის მოდალური ელემენტია. სწორედ ამ მიზეზის გამო ჩნდება მის გვერდით **არის** ზმნა: „**ლამის არის**, შიშისაგან გული წაუვიდეს“. გამოთქმულია ვარაუდი, რომ ამგვარი სტრუქტურის წინადადებებში **არის** უფრო მეშველი ზმნის როლს ასრულებს (ჯორბენაძე, 1993: 269).

სპეციალურ ლიტერატურაში ჩართულად მიჩნეული ზმნა ან ზმნის შემცველი ყოველგვარი შესიტყვება ამოსავლად ვარაუდობს ჰიპოთაქსს, რომლის მთავარი ნაწილი მყარ სიტყვათშეხამებად იქცა დროთა განმავლობაში ხშირი ავტომატური ხმარების გამო (კვანტალიანი, 1990: 67). ლ. კვანტალიანის თვალსაზრისით, ჩართულის გავრცობა სხვა სიტყვებით ძნელად ხერხდება. სწორედ ეს გარემოება განასხვავებს ჩართულსა და ინტერპოზიციისაში მოქცეულ მთავარ კომპონენტს, რომელიც ზმნა ან ზმნის შემცველი. მისივე შეხედულებით, ჩართული ზმნებისა თუ ზმნური შესიტყვებების შემცველი (ვიცი, ვნახე, ვხედავ, ვგონებ, ვფიქრობ...) წინადადებები ჰიპოთაქსურია. ეს შეხედულება გამყარებულია შესაბამისი მყარი არგუმენტებით (კვანტალიანი, 1990: 67-69).

ქართულ ენაში დასტურდება ისეთი სინტაქსური წყობის წინადადებები, რომლებიც ფრაზეოლოგიურ დონეზე ვლინდება. პირობითად, ამგვარ შემთხვევებს ფრაზეოლოგიზმის ან სიტუაციურ სინტაქსს უწოდებენ. ასეთია ე. წ. ნაწილაკი-ფრაზეოლოგიზმები (მასში შემავალი სიტყვებითურთ). მათ შორის გამოიყოფა ერთად შერწყმული რამდენიმე სიტყვა ან დამხმარე სიტყვა და მისი კლასისაგან იზოლირებული ზმნიზედა, შორისდებული ან ზმნა, რომელთა შორის ცოცხალი კავშირი თანამედროვე ენაში აღარ არის. ფრაზეოლოგიზებული ნაწილაკებია: **ცოტა არ იყოს, ეჭვი არაა, ვნახოთ, ერთი კია, ვიღაც იქნება...** შენიშნულია, რომ ფრაზეოლოგიზებულ წინადადებაში შეიძლება გამოიყოს: ა) მთავრის მიმართ ბადალი წინადადება; ბ) დამოკიდებულის ბადალი წინადადება (შერაზადიშვილი, 2004: 143).

მაშასადამე, ზოგ შემთხვევაში ჩართულად ჩათვლილი თუ ნაწილაკი-ფრაზეოლოგიზმების შემცველი წინადადებები მიჩნეულია ან მთავრის მიმართ ბადალ წინადადებად ან ჰიპოთაქსურ აგებულებასად. მაგრამ როგორია **რახანია/დიდი ხანია/რამდენი ხანია/ერთხანს/ეს ერთი ხანია** ზმნიზედებით მიღებული რთული წინადადებების სტრუქტურა?

სპეციფიკურია **რახანია**ს შემცველი წინადადების სინტაქსური აგებულების საკითხი. საენათმეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ **რა** კითხვითი ნაცვალსახელი ზმნისართის დანიშნულებითაც გამოიყენება: **როგორ, რანაირად, რარიგ**. შენიშნულია, რომ

ერთი და იმავე ჯგუფის ნაცვალსახელები შესაძლოა სულ სხვადასხვა სინტაგმატური უნარისა აღმოჩნდეს. მაგალითად, შდრ.: **რა?** და **რომელი? თვითონ და თითოეული** (ახალი ქართული ენა, 2016: 281). **რა** ნაცვალსახელი ხშირად გამოხატავს **რამდენი, რა რაოდენობის** შინაარსსაც. სასაუბრო მეტყველებას ახასიათებს **რა** კითხვითი ნაცვალსახელის **რამდენი** ნაცვალსახელის ფუნქციით გამოყენება გამოთქმაში **რახანია**: „**რახანია**, ჩემი უფროსი ქალიშვილი არ მინახავს“; „წავიდეთ, **რახანია** გვეძახის“; „**რახანია** არ მინახავს“; „**რახანია** სახლში სადილი ხეირიანად არ გვიჭამია“; „**რახანია** ის საპნიანი წყალი დამექცა“. შევადაროთ: **რამდენი ხანია**, ჩემი უფროსი ქალიშვილი არ მინახავს; წავიდეთ, **რამდენი ხანია** გვეძახის; **რამდენი ხანია** არ მინახავს; **რამდენი ხანია** სახლში სადილი ხეირიანად არ გვიჭამია; **რამდენი ხანია** ის საპნიანი წყალი დამექცა. იმთავითვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ხშირად დასახელებული ზმნისართი (რახანია) გვხვდება ცალ-ცალკე დაწერილობით. ამ ეტაპზე მისი მართლწერის შესახებ არ გავამახვილებთ ყურადღებას.

რახანია გვხვდება როგორც მარტივ, ისე რთულ წინადადებაში. ჰიპოტაქსურ წყობაში (მთავარ წინადადებაში) ზმნიზედა **რახანია** შეიძლება სხვადასხვა პოზიციამი დადასტურდეს:

წინადადების თავში: „**რახანია**, თვალთ არ დამინახავს!“; „**რახანია**, სახლში ხეირიანად სადილი არ გვიჭამია“; „**რახანია**, რაც მესაფლავე ხარ?“; „**რახანია**, ასე გულდაჯერებით არ უმეცადინია ირმას“; „**რახანია**, არავის გავხსენებია“.

წინადადების ბოლოში: „მას უკვე **რახანია**, რაც ყურები ჩამოახიეს“; „საქართველოში ეს ნარკოტიკი **რახანია**, რაც ლეგალიზებულია“; „მეორე პოლიტიკური მხარის კრიტიკულმა პოზიციამ **რახანია**, რაც წამოჭრა ეს საკითხები“; „მხარეებს შორის მოლაპარაკებები **რახანია**, რაც რამდენიმე წელია მიმდინარეობს“.

ზოგჯერ ზმნიზედა **რახანია** ორივე მხრიდან მიმეებით გამოიყოფა წინადადებაში: „ჩემთვის, **რახანია**, რაც ეს ამბავი ცნობილი იყო“; „ვიცი, **რახანია**, წასული ხარ უკვე“; „დასავლეთის დემოკრატიულ ქვეყნებში, **რა ხანია**, აღარ იკრძალება სახელმწიფო ხელისუფლების კრიტიკა თუ ძაგება“; „აილო ხელი, **რახანია**, მან ზრდილობაზე“; „აქ თოჯინებს მიუჩინეს, **რაანია**, მყუდრო ადგილი“.

ჩვენ ყურადღებას ვამახვილებთ ისეთ წყობაზე, როცა ზმნიზედა წინადადების თავშია. ჰიპოტაქსურ წინადადებაში შესაძლოა მხოლოდ ამ დასახელებული ზმნისართით წარმოდგეს მთავარი წინადადება. როგორც წესი, ასეთი აგებულების წინადადებებში იგულისხმება **რაც** კავშირი, თუმცა საილუსტრაციო მასალა ცხადყოფს, რომ, რომ ის კავშირის გარეშე გამოიყენება და კავშირითაც. კავშირის აღდგენა კი ყოველთვის შესაძლებელია. შევადაროთ: **რა ხანია** თვალთ არ მინახავს/**რა ხანია**, **რაც** თვალთ არ მინახავს; **რა ხანია**, ასე გულდაჯერებით არ უმეცადინია ირმას/**რა ხანია**, **რაც** ასე გულდაჯერებით არ უმეცადინია ირმას... თავისთავად **რახანია** გულისხმობს შინაარსს **რამდენი ხანი არის**.

რახანია ზმნიზედაა, ჩვენ მიერ მოხმობილ წინადადებებში ის ფუნქციით მთავარი წინადადებაა, მას მოჰყვება დამოკიდებული, რომელიც ყოველთვის იგუებს **რაც** კავშირს. აქ დროული მნიშვნელობის ორი წინადადებაა შეკავშირებული. სტრუქტურის მიხედვით, ვფიქრობთ, დასახელებული კონსტრუქციის წინადადებები რთული ქვეწყობილი წინადადებებია, კერძოდ, მთავარის მიმართ დამოკიდებული რთული წინადადებები. აქ დროის ზმნისართები (**რახანია/დიდი ხანია/რამდენი ხანია**) წარმოდგებიან მთავარ წინადადებად, რომელთაც მოჰყვება დამოკიდებული წინადადება. როგორც ცნობილია, მთავარის მიმართ დამოკიდებულ წინადადებას ხშირად დამოკიდებულთან აერთებს მიმართებითი ნაცვალსახელი **რაც**. დასახელებული კონსტრუქციის წინადადებებში დამოკიდებული წინადადება საზღვრავს და აზუსტებს მთავარ წინადადებას აზრობრივად. ჩვენ მიერ მოხმობილ წინადადებებშიც ამგვარი სინტაქსური აგებულება გვაქვს. როგორც ქვეწყობილ წინადადებას ახასიათებს, აქაც უკავშირო დაქვემდებარების

პარალელურად დადასტურებულია კავშირიანი ქვეწყობა (ამის შესახებ ზემოთ ვიმსჯელებთ). გარდა ამისა, მოხმობილი ზმნიზედები იმდენად აუცილებელი კომპონენტია, რომ მისი ამოღებისას კონსტრუქცია იცვლება ან ირღვევა.

აქ ერთი მომენტიცაა აღსანიშნავი – დასახელებული ზმნისართების შემცველ წინადადებს ზოგჯერ მძიმით გამოყოფენ, ზოგჯერ კი – არა: „**რა ხანია**, ის საპნიანი წყალი დამეცა“; „ხალხს **რა ხანია**, სძინავს, ამ შუადამისას საიდან მოიტანე?“, „**რა ხანია**, მაგ გოგოს დაადგა თვალი“; „ლუკასგან არაფერი ისმის **რა ხანია**...“ – ამბობს თამარა მძიმედ და მაგიდის ალაგებას იწყებს“; „**რა ხანია**, ბავშვისთვისაც არაფერი გვეყიდა“; „უკვე **რა ხანია**, არსებობს აზრი, რომ იქ რეჟიმის შეცვლა რეგიონისა და თვით ერაყელის ხალხისთვისაც სასიკეთო იქნებოდა“.

შესაძლოა ზმნიზედა **რა ხანია** დამოკიდებულ წინადადებაშიც გამოიყენებოდეს: „ეს ის სახელია, რომლის ხსენებაც **რა ხანია** აუკრძალა საკუთარ თავს“; „ამას იმით ავხსნი, რომ **რა ხანია** მაგაზე ვფიქრობ“; „თავისდაუნებურად საკუთარი მანქანა გაახსენდა, რომელიც **რა ხანია** ეზოში ყენა“; „თვით არხილსაც ვერ მოენადირებინა თუთას გული, თუმცა **რა ხანია** იდუმალ შესტრფოდა“. მოყვანილ წინადადებებშიც **რა ხანია** გამოიყენება როგორც დამოუკიდებლად, ისე შესაძლოა მოიაზრებოდეს **რაც** კავშირი. ამ თვალსაზრისით არ განსხვავდება ისეთი კონსტრუქციის წინადადებებისაგან, რომლებშიც **რა ხანია** მთავარი წინადადების ფუნქციას ასრულებს. თუმცა დამოკიდებულ წინადადებაში მას მხოლოდ წინადადების წევრის სინტაქსური ფუნქცია აქვს. მაშასადამე, ამგვარ შემთხვევებში ის ჩვეულებრივი დროის ზმნიზედაა და არა მთავარი წინადადება.

დასახელებულ ზმნისართებთან ერთად გაბმულ მეტყველებაში ასევე გამოიყენება **ერთი ხანია/ეს ერთი ხანია**: „**ეს ერთი ხანია**, რაც ცხვირი ხელახლად ხევსურული სუნით მეტენება“; „**ერთი ხანია**, რაც ჯაყოს ცვლილება დაეტყო“; „**კაროლინა ეს ერთი ხანია**, ისევ მართო ცხოვრობს და ძალიან ეწყინებოდა ჩემი უარის თქმა“; „**ეს ერთი ხანია**, საკუთარ თავზე წიგნების წერა მოლაში შემოვიდა“; „**ერთი ხანია**, რაც საქართველოს კიდევ ორი განსაზღვრება გამოუჩნდა – „ვარდების რევოლუცია“ და მიხეილ სააკაშვილი“; „**ეს ერთი ხანია**, მიკერძოებას ამჩნევდა მას ექიმის სახლისადმი“.

საკითხი ასეც დაისმის – **რა ხანია**ს მაგივრად როცა გვხვდება **რამდენი ხანია**, **დიდი ხანია** მთავარი წინადადების კომპონენტად, როგორი იქნება ამ ნაწილის სინტაქსური დანიშნულება?

„**რამდენი ხანია**, რაც ჩვენ სავაჭროდ დავიარებით“; „**რამდენი ხანია**, თავს ვიმტვრევ და ვერ მიმხვდარვარ“; „**რამდენი ხანია**, სოფელში არ გამითევია ღამე“; „**რამდენი ხანია**, აქ აღარ ყოფილხარ“; „**რამდენი ხანია**, რაც ინტერნეტში მიმდინარე ლიტერატურული პროცესების მონაწილე ხართ“; „**რამდენი ხანია**, რაც მკაცრ რეჟიმს დამორჩილებულს ხილი არ უგემია“; „**დიდი ხანია**, რაც ახალმა ცხოვრებამ გადაფხიკა კახელის გულისფიცარზე დღემდე ღრმად დაბეჭდილი მისი ისტორიული ნაგრძნობი და ნაფიქრები!“; „**დიდი ხანია**, რაც ამ მხარესა ხარ?“; „იმას **დიდი ხანია**, რაც თოფი აეღო ხელში; დიდი ხანია, რაც ამ მონასტერში ბერად მოღვაწეობ?“

„**დიდი ხანია**, რაც მოვშორდი აქაურობას და კახეთში ვარ“; „**დიდი ხანია**, რაც ახალმა ცხოვრებამ გადაფხიკა კახელის გულისფიცარზე დღემდე ღრმად დაბეჭდილი მისი ისტორიული ნაგრძნობი და ნაფიქრები!“; „**დიდი ხანია**, რაც განიკურნა ხუროთმოძღვარი მეფისა“; „**დიდი ხანია**, რაც ეკლესიათა მსოფლიო საბჭო აქტიურად მონაწილეობს გაეროს საქმიანობაში“; „**დიდი ხანია**, რაც მას იცნობთ?“

დასახელებულ შემთხვევებშიც ჰოპოტაქსური წყობა გვაქვს, ზემოთ დასახელებული წინადადებების მსგავსად მხოლოდ ზმნიზედიტაა წარმოდგენილი მთავარი წინადადება. ამ ტიპის წინადადებები ზოგჯერ უკავშიროდ გვხვდება, ზოგჯერ კი – **რაც** კავშირით. ზმნისართი აუცილებელი კომპონენტია წინადადებისა და აქაც მისი ამოღებით ირღვევა ან იცვლება კონსტრუქცია.

დასკვნა. რთულ ქვეწყობილ წინადადებებში ზოგი ზმნიზედის (რახანია/დიდი ხანია/რამდენი ხანია/ერთხანს/ეს ერთი ხანია) სინტაქსური ფუნქცია მთავარი წინადადების გამოხატვაა. ამიტომაც, მისი ამოღება კონსტრუქციიდან შეუძლებელია.

გამოყენებული ლიტერატურა

- ახალი ქართული ენა. (2016). გ. გოგოლაშვილისა და ავთანდილ არაბულის საერთო რედაქციით. თბილისი.
- კვანტალიანი, ლ. (1990). *ქართული ზეპირი მეტყველების სინტაქსის საკითხები*. თბილისი.
- კვანტალიანი, ლ. (1997). *ჰიპოტაქსი სასაუბრო ქართულში*. ავტორეფერატი. თბილისი.
- კვაჭაძე, ლ. (2010). *თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი*. თბილისი.
- ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი*. (1950-1964). თბილისი.
- შერაზადიშვილი, მ. (2004). ნაწილაკი ფრაზეოლოგიზმები. *საენათმეცნიერო ძიებანი*. XVII. თბილისი.
- ჯორბენაძე, ბ. (1993). ნაზმნარი მოდალური ელემენტები ქართულში. *ქართული სიტყვის კულტურის საკითხები*. წიგნი მე-10. თბილისი.

REFERENCES

- akhali kartuli ena [New Georgian Language]*. (2016). G. Gogolashvili and Avtandil Arabuli (Eds.). Tbilisi.
- k'vant'aliani, l. (1997). *kartuli zep'iri met'qvelebis sint'aksis sak'itkhebi [Syntactic Issues of Georgian Speech]*. Tbilisi.
- k'vant'aliani, l. (1990). *hip'ot'aksi sasaubro kartulshi [Hypotaxis in Colloquial Georgian]*. Dissertation Synopsis. Tbilisi.
- k'vach'adze, l. (2010). *tanamedrove kartuli enis sint'aksi [Syntax of Modern Georgian]*. Tbilisi.
- kartuli enis ganmart'ebiti leksik'oni [Georgian Definition Dictionary]*. (1950-1964). Tbilisi.
- sherazadishvili, m. (2004). *nats'ilak'i praeologizmebi [Particle phraseologies]*. *saenatmetsniro dziebani [Linguistic Explorations]*. XVII. Tbilisi.
- gorbenadze, b. (1993). *nazmnari modaluri element'ebi kartulshi [De-verbal modal elements in Georgian]*. *kartuli sit'qvis k'ult'uris sak'itkhebi [Issues in Georgian Speech Culture]*. Vol. 10. Tbilisi.